ПРОЛЕТАРЕБО ᲛᲔᲦᲚᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲡᲐ, ᲨᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

# ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

№ 131 (12643)
ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ,
6
ᲘᲕᲜᲘᲡᲘ,
1963 Წ.
ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 44-Ე ᲬᲚᲘᲡ.

ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐᲞ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

*КОМУНИСТИ* — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

## ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

# რსდმპ მეორე ყრილობის მესამოცე წლისთავის შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „რსდმპ მეორე ყრილობის მესამოცე წლისთავის შესახებ". ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ 1963 წლის 30 ივლისს სრულდება მესამოცე წლისთავი რსდმპ მეორე ყრილობისა, რომელზეც ფაქტიურად წარმოიშვა ახალი ტიპის პარტია, ლენინური ბოლშევიკური პარტია.

გრძელი და ეკლიანი გზა განვლო რუსეთის მუშათა კლასმა, სანამ შექმნილა თავის დამოუკიდებელ პოლიტიკურ მარქსისტულ პარტიას. პარტია სათავეს იღებს ვ. ი. ლენინის მიერ 1895 წელს დაარსებული პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირიდან".

ახასიათებდა რა რუსეთში 1894-1898 წლებში მუშათა მოძრაობის განვითარებას, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ამ პერიოდში სოციალ-დემოკრატია ჩნდება როგორც საზოგადოებრივი მოძრაობა, როგორც ხალხის მასების აღმავლობა, როგორც პოლიტიკური პარტია. „ეს, — აღნიშნავდა ლენინი, — ბავშვობისა და ჭაბუკობის პერიოდია". რუსეთის სოციალ-დემოკრატების წინაშე მაშინ იდგა ამოცანა — გაეერთიანებინათ დაკასკასქული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ერთიან სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიად, განეხორციელებინათ მეცნიერული სოციალიზმის შეერთება მუშათა მოძრაობასთან. „პარტიის შექმნა 1898 წლის გაზაფხულზე, — წერდა ლენინი, — ამ ხანის სოციალ-დემოკრატთა ყველაზე რელიეფური და ამავე დროს **უკანასკნელი** საქმე იყო". ყველაზე დიდი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლთა პირველმა ყრილობამ, რომელიც 1898 წლის მარტში შეიკრიბა, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნა გამოაცხადა. ყრილობამ გამოუშვა „მანიფესტი", რომლის ძირითად დებულებებს სოლიდარობა გამოუცხადა ვ. ი. ლენინმა, აირჩია ცენტრალური კომიტეტი და შექმნა ცენტრალური ორგანო. მაგრამ პარტიის ცენტრალური დაწესებულებანი (ცკ და ცო) მალე განადგურებულ იქნენ ცარიზმის მიერ და მათი აღდგენა აღარ მოხერხდა. ამიტომაც, პარტია, როგორც ერთიანი ცენტრალიზებული ორგანიზაცია, ფაქტიურად არ შექმნილა.

მხოლოდ რამდენიმე წლის დაძაბული ბრძოლის შემდეგ ლენინის ხელმძღვანელობით რუსეთის რევოლუციონერებმა შეძლეს რსდმპ II ყრილობაზე შეექმნათ მთლიანი პარტიული ორგანიზაცია იმ პრინციპულ საწესებზე, რომლებიც „ისკრამ" წამოაყენა და შეიმუშავა, ნამდვილი, მებრძოლი მარქსისტული, მუშათა მასობრივ მოძრაობასთან მჭიდროდ დაკავშირებული პარტია. ძირითადი მუშაობა რსდმპ მეორე, მორიგი ყრილობის მოსამზადებლად გასწიეს ვ. ი. ლენინმა და მის მიერ შექმნილმა გაზეთმა „ისკრამ". სწორედ „ისკრამ" აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, „აღადგინა, მარქსიზმისა და რევოლუციური ს.-დ. პრინციპების საწყისებზე, ს.-დ. პარტია (რომელიც 1898 წელს დაარსდა, მაგრამ შემდეგ დაპატიმრებებმა დაანგარა)". რსდმპ მეორე ყრილობამ განამტკიცა ისკრული მიმართულების. ლენინური უმრავლესობის გამარჯვება. ვ. ი. ლენინმა, ბოლშევიკებმა ხელში აიღეს რსდმპ დროშა.

განსაზღვრავდა რა მეორე ყრილობის ისტორიულ მნიშვნელობას, ვ. ი. ლენინი წერდა: „ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია 1903 წლიდან არსებობს".

ლენინის დიადმა პარტიამ, რომელიც სათავეს მარქსისა და ენგელსის კომუნისტური მანიფესტიდან იღებს, რიმელზეც განხორციელდა ყოველივე საუკეთესო, რაც კი მოუცია რევოლუციურ პროლეტარულ მოძრაობას დასავლეთში და რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობას, გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩვენი სამშობლოს ბედის განსაზღვრაში, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განვითარებისათვის.

კომუნისტურმა პარტიამ განვლო სახელოვანი გზა მკაცრი ბრძოლისა სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან ხალხის მასების განთავისუფლებისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის და ახლა ხელმძღვანელობს კომუნისტური საზოგადოების აშენებას ჩვენს ქვეყანაში. თვითეული ისტორიულ ეტაპზე პარტია, ხელმძღვანელობდა რა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით, წყვეტდა მის პროგრამებში მეცნიერულად ფორმულირებულ ამოცანებს.

ახორციელებდა რა რსდმპ მეორე ყრილობის მიერ მიღებულ თავის პირველ პროგრამას, ბოლშევიკური პარტია, რომელსაც სათავეში ედგა დიდი ლენინი, გაუძღვა რუსეთის მუშათა კლასს, ყველა მშრომელთ მეფის ძირმოშმალი თვითმყურობელობის, მემამულეთა და ბურჟუაზიის ძალაუფლების წინააღმდეგ საიერიშოდ, პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად და მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს შესაქმნელად. ისტორიაში პირველად 1917 წლის ოქტომბერში დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე იშვა ახალი საზოგადოებრივი წყობილება, რომელმაც დასაწყისი მისცა უკანასკნელ საზოგადოებას დედამიწაზე.

განხორციელება პარტიის მეორე პროგრამისა, რომელმაც წამოაყენა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ამოცანა, აღინიშნა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებით — სსრ კავშირში მოლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა სოციალიზმმა. სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს, წარმოიშვა მსოფლიო სოციალისტური სისტემა.

ამჟამად პარტია ახორციელებს სკკპ XXII ყრილობის მიერ მიღებულ მესამე პროგრამას — შემოქმედებითი მარქსისტულ-ლენინიზმის უბრწყინვალეს დოკუმენტს, რომელშიც მოცემულია სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოების აშენების ფილოსოფიური, ეკონომიური და პოლიტიკური დასაბუთება. სკკპ ახალი პროგრამა კომუნიზმის შექმნის კონკრეტული მეცნიერულად დასაბუთებული გეგმაა.

რსდმპ მეორე ყრილობის შემდეგ გასულ სამოც წელიწადში კომუნისტურმა პარტიამ შეიძინა მასებში პოლიტიკური, ორგანიზაციური და იდეოლოგიური მუშაობის უმდიდრესი გამოცდილება, მსოფლიოში. პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ხელმძღვანელობის გამოცდილება. შინაგანი და გარეშე კონტრრევოლუციის გაერთიანებულ ძალებზე გამარჯვება სამოქალაქო ომის წლებში, სახალხო მეურნეობის აღდგენა, ძმიმე ინდუსტრიის შექმნა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, სოციალიზმის აშენება, ვერმანიის ფაშიზმსა და იაპონიის მილიტარიზმზე გამარჯვება დიდი სამამულო ომის წლებში, სოციალიზმის მშენებლობის დამთავრება და კომუნიზმის აშენებაზე გადასვლა — ასეთია გმირული გზა საბჭოთა ხალხისა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით.

მშრომელთა ინტერესებისათვის თავისი თავდადებული ბრძოლით კომუნისტების პარტიამ ყველა საბჭოთა ადამიანის უსაზღვრო სიყვარული და ნდობა მოიპოვა. წარმოიშვა რა როგორც მუშათა კლასის პარტია, იგი ახლა მთელი საბჭოთა ხალხის პარტია, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის მოწინავე რაზმი გახდა.

პარტიის როლი და გავლენა კიდევ უფრო გაიზარდა სკკპ XX ყრილობის მიერ დასახული ლენინური კურსის მტკიცედ განხორციელების მეოხებით. მარქსიზმ-ლენინიზმისათვის უაღრესად უცხო პიროვნების კულტის წინააღმდეგ გაბედული და აშკარა ბრძოლის მეოხებით. პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პარტიისა და სახელმწიფოს ყველა რგოლში კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპების აღდგენამ და განვითარებამ ფართო გასაქანი მისცა ხალხის შემოქმედებითი ძალების განვითარებას, დააჩქარა ჩვენი ქვეყნის წინსვლა კომუნიზმისაკენ, კიდევ უფრო განამტკიცა პარტიის კავშირი მასებთან, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ბედისათვის.

რსდმპ მეორე ყრილობის შესამოცე წლისთავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პირობებში ხვდება. ეს პერიოდი მოასწავებს ახალ, უფრო მაღალ ეტაპს პარტიის პოლიტიკურ, ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ მუშაობაში. სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუჯობესების მიზნით პარტიული ორგანოების გარდაქმნა საწარმო პრინციპის მიხედვით, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის (1962 წ.) პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად განხორციელდა, კიდევ უფრო ამაღლებს პარტიის როგორც მასების ბელადისა და ორგანიზატორის როლს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

თავისი განვითარების მთელ გზაზე კომუნისტურ პარტიას მაღლა ეჭირა მარქსიზმ-ლენინიზმის დროშა. პარტია შემოქმედებითად, კონკრეტული პირობების გათვალისწინებით ავითარებს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას, იცავს მის რევოლუციურ სულს, მის სიწმინდეს, მტკიცედ ებრძვის ბურჟუაზიულ იდეოლოგიას, ოპორტუნიზმის, რევიზიონიზმის, დოგმატიზმისა და სექტანტობის სხვადასხვა გამოვლინებებს.

თანმიმდევრულად აურულებს რა მარქსის, ენგელსის, ლენინის ანდერძს, ჩვენი პარტია დაუცხრომლად იბრძვის მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებისათვის, უჩვენებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ერთგულების ნიმუშს, რომელთა განუხრელად დაცვა მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ძალებისა და ავტორიტეტის შემდგომი ზრდის უმნიშვნელოვანესი პირობაა. მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთიანობა და შეკავშირება მიაჩნია პარტიას მეცნიერული კომუნიზმის დიადი იდეების მთელ მსოფლიოში გამარჯვების საწინდრად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყველა ქვეყნის მარქსისტულ-ლენინურ პარტიებთან ერთად გამოდის მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლი ძალების ავანგარდში. ახორციელებს რა სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპს, პარტია მტკიცედ ცდილობს მიაღწიოს მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებას, იბრძვის გამაღლებული შეიარაღების შეწყვეტისა და თერმოატომური იარაღის აკრძალვისათვის, სრული და საყოველთაო განიარაღებისათვის. ამასთანავე პარტიას მუდამ ახსოვს იმპერიალიზმის აგრესიული არსი, იცავს რევოლუციურ სიფხიზლეს, მუდამ განამტკიცებს საბჭოთა სახელმწიფოს, მთელი სოციალისტური ბანაკის ეკონომიურ და სამხედრო ძლიერებას — საიმედო გარანტიას იმპერიალიზმის რეაქციული ძალების ხრიკების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყველა ღონისძიებით უჭერს მხარს ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმისათვის, რომ განთავისუფლდნენ იმპერიალისტური და კოლონიური ულლისაგან.

რსდმპ მეორე ყრილობის მესამოცე წლისთავი დღესასწაულია არა მარტო კომუნისტებისა, არამედ მთელი საბჭოთა ხალხისაც. ღირსშესანიშნავი თარიღია მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელების, მსოფლიოს მთელი პროგრესული ძალების ცხოვრებაში. ლენინის პარტიის სახელთან, რომელიც განსახიერებს ჩვენი ეპოქის გონებას, ღირსებასა და სინდისს, მთელი მოწინავე კაცობრიობა აკავშირებს დიად გამარჯვებებს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნაში, მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა ბედნიერებისათვის ბრძოლაში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, პარტიულ კომიტეტებსა და პირველად პარტიულ ორგანიზაციებს ფართოდ აღნიშნონ რსდმპ მეორე ყრილობის მესამოცე წლისთავი.

მთელი მუშაობა სახელოვანი იუბილესათვის მოსამზადებლად უნდა ხორციელდებოდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო მშრომელთა შემდგომი დარაზმვის, პარტიისა და ხალხის ერთიანობის განმტკიცების ნიშნით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მიერ დასახული დიდებული ამოცანების — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბების, ახალი ადამიანის აღზრდის ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის მთელი ძალების მობილიზაციის ნიშნით.

ცენტრალური 'გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს წინადადება მიეცათ გამოაქვეყნონ სტატიები და მასალები რსდმპ მეორე ყრილობის შესახებ, პარტიის ისტორიული გამოცდილების, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში, მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში მისი ხელმძღვანელი როლის შესახებ, მისი ინტერნაციონალისტური ტრადიციებისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის ბრძოლის შესახებ.

მოეწყოს ლექციებისა და მოხსენებების ჩაკითხვა თემებზე: „ვ. ი. ლენინის ბრძოლა რუსეთში მარქსისტული პარტიის შექმნისათვის", „რსდმპ მეორე ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა", „ბოლშევიკების პარტია — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი", „ისტორიული გამოცდილება სკკპ და საბჭოთა ხალხის ბრძოლისა და სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმის განხორციელებისათვის". „სკკპ გამოცდილების საერთაშორისო მნიშვნელობა". „სკკპ ბრძოლა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის", „სკკპ ინტერნაციონალისტური ტრადიციებისა და საერთაშორისო მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის მხარდაჭერის შესახებ", „სკკპ საბჭოთა ხალხის მებრძოლი ნაცადი ავანგარდია", „კომუნისტური პარტია — დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი", „პარტიის ბრძოლა პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენისა და განვითარებისათვის", „სკკპ მთელი საბჭოთა ხალხის პარტიაა", „პარტიის პოლიტიკური და ორგანიზატორული მოღვაწეობა კომუნიზმის მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე", „სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნა კომუნისტური მშენებლობის პირობებში", „სსრ კავშირის კომუნისტური მშენებლობის პროგრამის წარმატებით შესრულების დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა", „კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა პარტიისა და ხალხის თავადი ეკონომიური ამოცანაა", „სკკპ როლის ამაღლება კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პირობებში", „სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი სკკპ საგარეო პოლიტიკის საფუძველია", „სკკპ როლი მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითს განვითარებაში თანამედროვე ეტაპზე", „პარტიის შეურიგებელი და თანმიმდევრული ბრძოლა მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდისათვის, ოპორტუნიზმისა და რევიზიონიზმის, დოგმატიზმისა და სექტანტობის წინააღმდეგ".

მოხსენებებსა და ლექციებში, საუბრებსა და გამოსვლებში საჭიროა განვმარტავდეთ პარტიის როგორც მშრომელი მასების ავანგარდის როლს სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში, ვაჩვენებდეთ პარტიის როლის ზრდას კომუნისტურ მშენებლობაში, მისი ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის მნიშვნელობას.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტს დაევალა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიასთან და უმაღლეს პარტიულ სკოლასთან ერთად მოაწყოს რსდმპ მეორე ყრილობის მესამოცე წლისთავისადმი მიძღვნილი გაერთიანებული სამეცნიერო სესია. ვ. ი. ლენინის ცენტრალურმა მუზეუმმა და მისმა ფილიალებმა, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მუზეუმმა მოაწყონ პარტიის ისტორიული გზის ამსახველი გამოფენები.

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობას და გამომცემლობა „ისკუსტვოს" დაევალათ მოამზადონ და გამოსცენ სამახსოვრო ალბომი „რსდმპ მეორე ყრილობის 60 წელი", აგრეთვე მონოგრაფიები და ბროშურები, რომლებშიც გაშუქებული იქნება პარტიის მოღვაწეობა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტი მოვალეა მოაწყოს რსდმპ მეორე ყრილობის მესამოცე წლისთავისადმი, ყრილობის შემდეგ განვლილ წლებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გადაცემები.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცათ მოაწყონ ფერწერის ნაწარმოებების, გრაფიკისა და პლაკატის გამოფენები, გაითვალისწინონ ჩვენება სპექტაკლებს, ისტორიული, ქრონიკალურ-დოკუმენტური და მხატვრული კინოფილმებისა, რომლებიც ასახავენ პარტიის მოღვაწეობას სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

(ჟურნალი „ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲜᲘᲐᲘᲐ ᲪᲘᲜᲒᲘ", № 9).

## რუმინეთიდან სამშობლოში

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 5 ივნისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პარტიულ მუშაკთა დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ვ. პოდგორნის მეთაურობით, რომელიც ეცნობოდა რუმინეთის მუშათა პარტიის გამოცდილებას, დღეს გაემგზავრა სამშობლოში.

5 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ დაბრუნდა სკკპ პარტიულ მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ვ. პოდგორნი. დელეგაცია იმყოფებოდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით.

# Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕᲚᲘᲡᲐᲨᲘ

**ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕᲚᲘ**, 5 ივნისი. (საკდესი). დღეს დილით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა უგლიჩის საათის ქარხნის წარმომადგენლებს. იგი დაინტერესდა ახალი ნიმუშების პროდუქციის ათვისების საკითხებით, დაათვალიერა ქარხნის ნაწარმი — სხვადასხვა მარკის მაჯის საათები, საათისა და ტექნიკური ქვები.

მოგვიანებით ნიკიტა სერგის-ძე ეწვია ნოვოიაროსლავლის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანას. ამ საწარმომ პირველი პროდუქცია გამოუშვა სკკპ XXII ყრილობის გახსნის დღეს. ქარხანა კვლავ შენდება და 1965 წელს ერთისამად გაზრდის თავის სიმძლავრეებს. შენდება, კერძოდ, ბენზინის გაკეთილშობილების დანადგარები.

ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა ქარხნის ძირითადი მოქმედი ობიექტები — ელექტროგამაუმარილებელი, ატმოსფერულ-ვაკუუმისა და კრეკინგის დანადგარები, აგრეთვე ახალი მშენებარე ატმოსფერულ-ვაკუუმის მილდანადგარი.

საწარმოს ხელმძღვანელებთან საუბარში საბჭოთა მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ საჭიროა ყოველი ღონისძიებით დაჩქარდეს ნავთობის გადამუშავებისას გამოყოფილი გაზების გამოყენება იმ მიზნით, რომ მიიღონ სინთეზური პროდუქტების, კერძოდ პოლიეთილენის, პროპილენისა და კაუჩუკის წარმოებისათვის საჭირო საწყისი ნედლეული. საწარმოს ხელმძღვანელთა წინაშე დასახულია პრაქტიკული ამოცანა — მიაღწიონ უფრო უხვოქტანიანი ბენზინის გამოშვებას.

მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა მშენებლებისადმი, რომლებიც მეტისმეტად უხვად იქენენ „სილიკატურ აგურს" და ამავე [illegible] არ იყენებენ ასაწყობ [illegible] აგური, კერძოდ, დაიხარჯა ქარხნის ღობის აგებაზე, რომელიც მრავალი ასეული მეტრის მანძილზე გადაჭიმულა. ნიკიტა სერგის ძემ მოსთხოვა მშენებლებს დაჩქარონ ახალი დანადგარების აგება. სამუშაოები უნდა წარმოებდეს ფართო ფრონტით და მაღალი ტემპით. ქარხნის პროდუქცია ძალიან ესაჭიროება ჩვენს ქვეყანას.

ქარხნის დათვალიერების დროს სრულიად საკავშირო დამავრელური მშენებლობის ასობით მშრომელი გულმხურვალედ მიესალმა საბჭოთა მთავრობის მეთაურს.

დღისით ნ. ს. ხრუშჩოვი გაემგზავრა იაროსლავლიდან. მის გასაცილებლად შეიკრიბნენ ქარხნებისა და ფაბრიკების კოლექტივების, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ნ. ს. ხრუშჩოვი გულთბილად გამოემშვიდობა იაროსლავლელ მშრომელებს. პიონერებმა მიართვეს მას ყვავილები.

5 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი მოსკოვს დაბრუნდა.

## 5 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

# გუშინ პლანტაციებში

**ᲒᲣᲨᲘᲜ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ**

**ᲪᲮᲘᲙᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲛᲭᲝᲚᲝ ᲡᲐᲛᲗᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ.** კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 6 ივნისისათვის შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის აპრილ-მაისის გეგმა. სულ მოკრეფილია 3.390 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო". გუშინ მოკრეფა 132 ტონაზე მეტი. წარმატებას მიაღწია ნაფიჩხოვის მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელმაც მოკრიფა 265 ტონამდე ჩაის ფოთოლი, კირჩის XX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ — 275 ტონა, ჩხოროწყუს ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ — 195 ტონა, ხაბუნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ — 220 ტონაზე მეტი, ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ მოკრიფა 290 ტონაზე მეტი.

თავი ისახელა ხორშის კოლმეურნეობის მეჩაიემ **გოგუცა გუგუნავამ.** მან გუშინ მოკრიფა 80 კილოგრამი ჩაის ნედლეული, სოფელ ზანის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ცნობილი მეჩაიე **ტატიანა ტყებუჩავა** დღეში კრეფს 70-90 კილოგრამ „მწვანე ოქროს".

**ᲒᲝᲒᲝᲭᲙᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲗᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ** გუშინ მეჩაიეებმა მოკრიფეს 120 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი. სულ მოკრეფილია 2.790 ტონამდე. ჩაის კრეფის ყოველდღიურ დაცალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ თამაკონის, ონოლიის, ნაჯახავოს, ლეხანდრაოს კოლმეურნეობების მეჩაიეები. დიდ ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობას მოკრეფილი აქვს 620 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული.

თამაკონის კოლმეურნეობა „შრომის დროშის" წევრმა **მაშა კილასონიამ** ერთ დღეს მოკრიფა 65 კილოგრამი ჩაის ნედლეული და დღიური დაცალება 250 პროცენტით შეასრულა. ამავე კოლმეურნეობის მეჩაიემ **ანგელინა ჯანჯღავამ** მოკრიფა 70 კილოგრამი, სულ მოკრეფილი აქვს 750 კილოგრამი. ლეხანდრაოს კოლმეურნეობაში **მარიამ ქიქავამ** მოკრიფა 70 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ხოლო **ლიზა ბერთაიამ** — 50 კილოგრამი.

# ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ

**ᲩᲐᲥᲕᲘ.** (საკ. კორ.). **წარმატებით შრომობენ ჩაქვის საწარმოო სამმართველოს მეჩაიეები.** განსაკუთრებით დაწინაურდა სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი (დირექტორი სოციალისტური შრომის გმირი ს. ჭანკურიძე). მეურნეობამ 31 მაისისათვის მოკრიფა 140.000 კილოგრამი „მწვანე ოქრო" და მაისის დაცალება 108 პროცენტით გაანაღდა.

ჩაის ფოთლის კრეფის გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს აგროგანყოფილებებმა, რომლებსაც ი. პაპოშვილი, ე. აბულაძე ხელმძღვანელობენ. ჩაის ნედლეულს გეგმის გადამეტებით კრეფენ ი. ქებულაძის, შ. ხალვაშის, ნ. ჭანთარიას ბრიგადები. მოწინავე მუშები მეხფულე გათენაძე, ნანული შარვაძე, ბურიე დავითაძე დღიურ დაცალებას 150-200 პროცენტით ასრულებენ.

მეურნეობის კოლექტივმა გადაწყვიტა წელს სამშობლოს მისცეს 522 ტონა ჩაის ნედლეული ნაცვლად 450 ტონისა.

გამართულად მუშაობს სალიბაურის ჩაის ფაბრიკა (დირექტორი დ. გირკელიძე). უკვე გადაამუშავა 400 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული და გამოუშვა 48 ტონა მზა პროდუქცია. აქედან 10 ტონაზე მეტი გაეგზავნა ოდესის ჩაის გადამწონ ფაბრიკას.

## ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲔᲑᲘ

**ᲞᲐᲕᲚᲝᲓᲐᲠᲘ.** 5 ივნისი. (საკდესის კორ.). დღეს ამუშავდა და ეფექტიანულ ჭსელს შეუერთდა დიდმნიშვნელოვანი ახალმშენებლობის — პავლოდარის თბოელექტროცენტრალი — 2-ის ყველაზე მძლავრი ტურბოგენერატორ. თბოელექტროცენტრალი ამუშავდა მთელი სიმძლავრით. ელექტროენერგია მიიღეს პავლოდარის თიხმიწოვანი ალუმინის ქარხნის საცდელმა საამქრომ. მანქანათსაშენებელმა ქარხანამ, მშენებლობის იმდუსტრიის საწარმოებმა.

**ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ.** (საკ. კორ.). ზესტაფონელმა მეტალურგებმა გაიმარჯვეს შეჯიბრებაში. პირველი კვარტალის მაჩვენებლებით რესპუბლიკაში პირველი ადგილი დაიკავეს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია მოიპოვეს.

მეტალურგებმა უკეთ იმუშავეს აპრილ-მაისში. ქარხნის კოლექტივმა 22 მაისს შეასრულა შენადნობთა გამოშვების ხუთი თვის დავალება.

## ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

### ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲘ Ა. Ი. ᲮᲐᲩᲐᲢᲣᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

დიდი დამსახურებისათვის საბჭოთა მუსიკის განვითარებაში და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით კომპოზიტორი არამ ილიას-ძე **ᲮᲐ

# ზონალური საინსტრუქტაჟო თათბირი

ქუთაისი. (საკ. კორ.). აქ გაიმართა ზონალური საინსტრუქტაჟო თათბირი პარტიული მეურნეობის მოწესრიგების საკითხებზე.

თათბირში მონაწილეობდნენ დასავლეთ საქართველოს სამრეწველო-საწარმოო პარტიული კომიტეტების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების პარტიული კომიტეტების, პარტიის რაიკომების, საქალაქო კომიტეტების, პარტიის აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტების ერთიანი პარტიული ბილეთისა და პარტიული სტატისტიკის სექტორების გამგეები. ქუთაისის მსხვილ საწარმოთა პარტიული კომიტეტებისა და ბიუროების მდივნები.

თათბირზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ერთიანი პარტიული ბილეთის სექტორის გამგის მოადგილემ მ. უსოვამ ილაპარაკა იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც შემოწმების შედეგად გამოვლინდა ადგილებზე პარტიული ბილეთების გაცემისა და პარტიული სტატისტიკის საქმეში.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგემ ი. რთველიაშვილმა.

# პარტიული ცხოვრება

## სოფლის ლექტორთა ჯგუფში

**მახარაძე.** (საკ. კორ.). ნაყოფიერად მუშაობს ნატანების სოფლის ლექტორთა ჯგუფი (ხელმძღვანელი ლ. შაფაქიძე), რომელიც ათამდე ლექტორ-მომხსენებელს აერთიანებს. ლექტორთა ჯგუფმა წელს მოამზადა და წაიკითხა 13 ლექცია. ლექციების უმრავლესობა აქტუალურ თემებს ეხებოდა.

მსმენელთა მოწონება დაიმსახურა სოციალისტური შრომის გმირის, ბრიგადირ დ. ბაქანიძის ლექციებმა, რომლებიც შუქს ფენენ საკოლმეურნეო წარმოების საჭირბოროტო საკითხებს.

ნაყოფიერად მუშაობენ აგრეთვე ლექტორთა ჯგუფის წევრები ბ. გოგოტიშვილი და ფ. ებრალიძე.

ამას წინათ ლექტორთა ჯგუფის ძალებით მოეწყო ეკონომიური კონფერენცია.

## პარტიული აქტივი სწავლობს...

**დუშეთი.** (საკ. კორ.). საწარმოო სამმართველოს პარტიულმა კომიტეტმა მოაწყო პარტორგანიზაციების მდივნების სემინარი. სემინარზე წაკითხულ იქნა მოხსენებები თემებზე: „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შედეგები და დუშეთის რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების ამოცანები“, „პარტიული მეურნეობის მოწესრიგების ზოგიერთი საკითხი“, „პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის დამთავრებისა და ახალი სასწავლო წლის ამოცანების შესახებ“, „წარმოების ზრდის რეზერვები და პარტიული ორგანიზაციები“ და სხვ.

## გამსვლელი ბიურო კოლმეურნეობაში

**მაიაკოვსკი.** (საკ. კორ.). სოფელ ფერსათის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა წლობით ერთ ადგილს ტკეპნის. აქ საზოგადოებრივი მეურნეობის თითქმის ყველა დარგში ჩამორჩენაა. უკანასკნელ სამ წელიწადში ყურძნის მოსავლიანობა საშუალოდ მეტკარზე 20 ცენტნერს არ აღემატება. ასევე დაბალია სიმინდის მოსავლიანობა.

მაიაკოვსკის საწარმოო სამმართველოს პარტიულმა კომიტეტმა ღრმად შეისწავლა საქმის მდგომარეობა და ბიუროს გამსვლელი სხდომა მოაწყო კოლმეურნეობის გამგეობის წევრები, ბრიგადირები, მეცხოველეობის ფერმის მუშაკები, კომუნისტები და უპარტიო აქტივისტები.

პარტიული კომიტეტის ბიუროზე დიდი სკა-ბაასი გაიმართა ჩამორჩენის მიზეზებზე, მათი დაძლევის გზებზე.

# მინდორი უხმობს...

სიღნაღი. (საკ. კორ). მივცეთ სამშობლოს მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები! ამ საკითხს მიეძღვნა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, აგიტპუნქტების გამგეებისა და აგიტატორების თათბირი, რომელიც სიღნაღის საწარმოო სამმართველოს პარტიულმა კომიტეტმა მოაწყო.

თათბირს თავიანთი მუშაობის გამოცდილებაზე მოუთხრეს: სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეძროხეებმა, ბ. ბერაძემ, ა. ბერაძემ, ბ. ბერაძემ, ბ. ბერაძემ, ბ

# ჩვენ სწორ გზაზე ვართ

## ფიდელ კასტროს გამოსვლა ჰავანის რადიოთი და ტელევიზიით

ჰავანა, 5 ივნისი (საკდესი). თავისუფლების კუნძულის მთელი ხალხი მოუთმენლად ელოდა კუბის რევოლუციის ბელადის ფიდელ კასტროს გამოსვლას, რომელიც ეს-ეს არის დაბრუნდა საბჭოთა კავშირში ისტორიული მოგზაურობიდან.

4 ივნისს საღამოს კუბის რადიოსა და ტელევიზიის ყველა სადგური ჩაერთო ერთიან ქსელში. ჰავანის ერთ-ერთ ტელესტუდიაში, სადაც ნაწარმოები გადადგეს, შეიკრიბნენ კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტი ოსვალდო დორტიკოსი, კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობისა და რევოლუციური მთავრობის წევრები, მასობრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, კუბელი და უცხოელი ჟურნალისტები. შეკრებილთ შორის იყო საბჭოთა კავშირის ელჩი კუბის რესპუბლიკაში ა. ი. ალექსეევი.

დაახლოებით საღამოს 9 საათზე სტუდიაში მივიდა ფიდელ კასტრო. ტელევიზორების ეკრანზე იგი, როგორც ყოველთვის, რევოლუციური შეიარაღებული ძალების მაიორის ფორმაში გამოწყობილი გამოჩნდა. ფიდელ კასტრომ დიდი გულთბილობით ილაპარაკა საბჭოთა ხალხზე, იმ სტუმარმოყვარეობაზე, რომლითაც იგი შეხვდა რევოლუციური კუბის წარმომადგენლებს.

წარმოდგენა, რომ ვიქონიოთ საბჭოთა კავშირზე, თქვა კასტრომ, საკმარისი როდია ციფრების ცოდნა. ყველაზერი საკუთარი თვალით უნდა ნახო. მხოლოდ მაშინ გაიგებ, რომ სკკპ XXII ყრილობის მიერ დასახული პროგრამა არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებით შესრულდება.

ფიდელ კასტრომ ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირში ეკონომიურ ამოცანათა გადაწყვეტას უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება, და ამასთანავე აღნიშნა: რომ სამწუხაროდ, კუბელი რევოლუციონერები ჯერ კიდევ ცოტას ზრუნავენ ეკონომიკის განვითარებისათვის. სსრ კავშირში, აღნიშნა მან, ყველა ზრუნავს ეკონომიკის განვითარებისათვის და უწინარეს ყოვლისა კომუნისტური პარტია.

ფიდელ კასტრომ დაწვრილებით ილაპარაკა უდიდეს ახალმშენებლობებზე, კერძოდ, ციმბირის ჰიდროელექტროსადგურებზე, რომლებიც მან ნახა საბჭოთა კავშირში, საბჭოთა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. ამასთან მან არა ერთხელ აღნიშნა, რომ საჭიროა საბჭოთა გამოცდილების გამოყენება სოციალისტური მშენებლობის შინა ამოცანების გადაჭრის დროს კუბაში.

შეეხო რა საბჭოთა კავშირ-კუბის ურთიერთობას, ფიდელ კასტრომ აღნიშნა, რომ კუბის დელეგაცია სავსებით კმაყოფილია სსრ კავშირში ვიზიტის შედეგებით. ეს იყო ძალიან სასარგებლო ვიზიტი, ხაზგასმით აღნიშნა მან, ჩვენ დიდი გამოცდილება შევიძინეთ.

ფიდელ კასტრომ აღნიშნა, რომ შაქრის ფასი, რომელსაც საბჭოთა კავშირი ყიდულობს კუბაში, გადიდდა საბჭოთა კავშირის ინიციატივით, და თქვა: ეს ძალიან დიდი დახმარებაა ჩვენი ეროვნული ეკონომიკისადმი. ფიდელ კასტრომ აღნიშნა აგრეთვე, რომ საბჭოთა ადამიანები თავიანთი სიყვარულსა და სოლიდარობას კუბისადმი გამოხატავენ კონკრეტული საქმეებით.

ნ. ს. ხრუშჩოვთან საუბრის დროს, განაგრძო ფიდელ კასტრომ, ჩვენ განვიხილეთ კუბის ეკონომიკის სხვადასხვა საკითხი. ხრუშჩოვმა, რომელსაც უდიდესი გამოცდილება აქვს სოფლის მეურნეობაში, გამოირჩინა დიდი ინტერესი იმისადმი, რომ შეიქმნას შაქრის ლერწმის ასაღები მანქანა, რომელიც გადაწყვეტს ძირითად პრობლემას შაქრის წარმოების განვითარებაში.

დაახასიათა რა კუბის საერთაშორისო მდგომარეობა, ფიდელ კასტრომ აღნიშნა, ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის საფრთხე კუბის წინააღმდეგ მთლიანად არ გამქრალაო. იგი იარსებებს, სანამ არსებობს იმპერიალიზმი. მაგრამ ძალთა თანაფარდობა, თქვა მან შემდეგ, შეიცვალა, და ეს საშიშროება მცირდება სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ძლიერების ზრდის კვალობაზე. იმპერიალისტებმა კარგად იციან, ხაზგასმით აღნიშნა კასტრომ, თუ რას ნიშნავს მათთვის აგრესია კუბის წინააღმდეგ.

ფიდელ კასტრომ თქვა, რომ კუბის რესპუბლიკა მზად არის მოაწესრიგოს ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ყველა სადავო საკითხის განხილვის გზით.

კუბის რევოლუციის ბელადმა ვრცლად ილაპარაკა შთაბეჭდილების შესახებ, რომელიც მასზე მოახდინა ნ. ს. ხრუშჩოვთან შეხვედრამ. ჩვენ, თქვა მან, ფართოდ განვიხილეთ სხვადასხვა პრობლემა, ხრუშჩოვი უაღრესად ჭკვიანი, ენერგიული, მეტად გულითადი ადამიანია. იგი ერთობ მზრუნველი და კარგი ორგანიზატორია. მას აქვს რევოლუციური ბრძოლის დიდი გამოცდილება, პრაქტიკით გამდიდრებული ღრმა თეორიული ცოდნა. მან განვლო დიდი გზა მუშა-მეშახტიდან პროლეტარული სახელმწიფოს ხელმძღვანელამდე. ხრუშჩოვი, თქვა ფიდელ კასტრომ, დიდად ზრუნავს საშინაო და საერთაშორისო პრობლემებისათვის, განსაკუთრებით სოციალისტური ბანაკის ერთობის საკითხისათვის. ეს არის ადამიანი, რომელიც ბევრს მუშაობს და ფიქრობს მომავალზე. იგი ბევრს ფიქრობს მშვიდობის დაცვის პრობლემებზე და გამალებული შეიარაღებისა და თერმოატომური ომის გაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებზე. ხრუშჩოვი, განაცხადა ფიდელ კასტრომ, დიდი ხელმძღვანელია, იმპერიალიზმის მტაცეცე მოწინააღმდეგეა.

თავისი გამოსვლის დასასრულს ფიდელ კასტრომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა განმტკიცდეს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობა აზრთა გაზიარების გზით. ეს, განაცხადა მან, ყველა საკითხის მოწესრიგების სწორი გზაა.

ჩვენ კომუნისტები ვართ, თქვა ფიდელ კასტრომ, და ჩვენი ბედი დაკავშირებულია მთელი კომუნისტური ბანაკის ბედთან. ჩვენ სწორ გზაზე ვართ.

## კუბა მოუთმენლად ელის...

ჰავანა, 5 ივნისი. (საკდესი). გაზეთი „ნოტიციას დე ოი" კლავ ბეჭდავს კუბის საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა განცხადებებს კუბაში ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალ ვიზიტთან დაკავშირებით.

კუბელი ხალხი უკვე დიდი ხანია ელის საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელის ვიზიტს, განაცხადა კუბელ ქალთა ფედერაციის თავმჯდომარემ ვილმა ესპინ დე კასტრომ.

საბუალო სკოლების მოსწავლეთა კავშირის გულწრფელად ახარებს ამბანაგ ხრუშჩოვის მომავალი ვიზიტი კუბაში, ამბობს ამ კავშირის პრეზიდენტი ირტურო პოლო.

ჩვენი ხალხი მოუთმენლად ელის ამხანაგ ხრუშჩოვის ჩამოსვლას, განაცხადა კუბელ პიონერთა ეროვნულმა ხელმძღვანელმა ანდრეს ვილარინომ. კუბა მისი სახით პატივს სცემს გმირ საბჭოთა ხალხს, რომელმაც ბევრჯერ ცხადყო ჩვენი ხალხის სიყვარული. კუბელი პიონერები ყველასთან ერთად მელოდებიან ესოდენ საპატიო სტუმარს.

მთელი კუბელი ახალგაზრდობა მოუთმენლად ელის ამხანაგ ხრუშჩოვის ჩამოსვლას ჩვენს კუნძულზე, განაცხადა ახალგაზრდა კომუნისტების კავშირის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ალდო ალვარესმა. კუბელი ახალგაზრდობა კუბის ყველა კუთხეში ეგებება შეხვედს ხრუშჩოვს და ეროხელ კიდევ დაადასტუროს ფიდელის სიტყვები, რომ საბჭოთა ხალხისა და კუბელი ხალხის მეგობრობა ურღვევია.

## ქართული ანსამბლი ავსტრალიაში

სიდნეი, 5 ივნისი. (საკდესი). დღეს სიდნეიში ჩავიდა საქართველოს სსრ სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული სახელმწიფო ანსამბლი, რომელსაც ხელმძღვანელობენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნინო რამიშვილი და სსრ კავშირის სახალხო არტისტი ილიკო სუხიშვილი. ანსამბლი კონცერტებს გამართავს ავსტრალიის დიდ ქალაქებში, აგრეთვე ახალ ზელანდიაში.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ ვენის სტუდენტთა მxდომარე გაფიცვას, რითაც ისინი პროტესტს გამოხატავენ მთავრობის უყურადღებობის გამო უმაღლესი სასწავლებლებისადმი. უმაღლეს სასწავლებლებს აკლიათ პროფესორ-მასწავლებლები. არ ყოფნით ადგილები ყველა ჩარიცხული სტუდენტისათვის. პირველად როდი გამოთქვამენ პროტესტს უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. პირველად როდი მოითხოვენ ისინი სახელმწიფო ასიგნობათა მომატებას. მაგრამ ეს მშვიდობიანი მანიფესტაციები მთავრობის სულ სხვა რეაქციას იწვევს. დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოყენილ იქნა პოლიცია, ბევრი სტუდენტი დაპატიმრებულია.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოციალისტური ქვეყნები თავიანთ ერთობას განამტკიცებენ

ბუქარესტი, 5 ივნისი. (საკდესი). რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში იმყოფება სკკპ პარტიულ მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ვ. პოდგორნი. დელეგაციის აქ ყოფნასთან დაკავშირებით გუშინ რესპუბლიკის სასახლეში გაიმართა რუმინეთის დედაქალაქის პარტიული აქტივის კრება, რომელზეც სიტყვები წარმოთქვეს ნ. ვ. პოდგორნიმ და ოუმონეთის მუშათა პარტიის პირველმა მდივანმა გეორგე გეორგიუ-დეჟმა.

ნ. ვ. პოდგორნიმ ბუქარესტის პარტიულ აქტივს და მისი სახით მთელ რუმინელ ხალხს, მის სახელოვან მუშათა პარტიას გულითადი სალამი გადასცა საბჭოთა კავშირის კომუნისტებისა და და ყველა მშრომელისაგან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობისა და პირადად ნ. ს. ხრუშჩოვისაგან.

უწინარეს ყოვლისა გვინდა ვილაპარაკოთ იმ განსაკუთრებით გულითად საუბრებზე, რომლებიც რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გვქონდა ამხანაგ გეორგე გეორგიუ-დეჟთან, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებსა და მდივნებთან, თქვა ნ. ვ. პოდგორნიმ. ყველგან, სადაც კი ვიყავით, განაგრძო ნ. ვ. პოდგორნიმ, გულითადად მიგვიღეს, გულახდილად, ძმურად გვესაუბრებოდნენ.

ნ. ვ. პოდგორნიმ დაწვრილებით ილაპარაკა საბჭოთა ხალხის წარმატებებზე და თქვა: ჩვენ ძლიერნი ვართ იმიტომ, რომ ერთსულოვანი ვართ. ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის, — ასეთია ეროვნული პრინციპი, რომლითაც ხელმძღვანელობს სოციალისტურ სახელმწიფოთა ძმური ოჯახი. მათ ურთიერთობას განსაზღვრავს ჩვენი იდეების, ჩვენი მიზნის ერთობა და საფუძვლად უდევს სრული თანასწორუფლებიანობა, ურთიერთპატივისცემა და ძმური ურთიერთდახმარება. ამ ერყევ საფუძველზე მტკიცდება და ვითარდება საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობა და თანაშრომლობა.

ნ. ვ. პოდგორნის- შემდეგ გამოვიდა გეორგე გეორგიუ-დეჟი, რომელმაც თქვა: ჩვენ მოხარული ვართ, რომ ჩვენთან გატარებულ მოკლე ხანში თქვენ შეიტანეთ გაგეცნოთ პარტიული ორგანიზაციების მუშაობა, რუმინელი ხალხის შთაგონებული შრომა რუმინეთის მუშათა პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. ის ატმოსფერო, რომელშიც თქვენი ვიზიტი მიმდინარეობდა, გამოხატავს ჩვენი პარტიებისა და ხალხების გულწრფელ მეგობრობასა და ძმურ თანამშრომლობას, რომლებიც გაერთიანებული არიან საერთო მიზნის —სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ჩვენი სახალხო მეურნეობა, განაგრძო გ. გეორგიუ-დეჟმა, ვითარდება მტკიცე ტემპით. გადაჭარბებით სრულდება ექვსწლიანი გეგმის დავალება. პარტია ფართო იდეოლოგიურ მუშაობას აწარმოებს მასების სოციალისტური შეგნების განვითარების და ინიციატივის წახალისებისათვის, იმისათვის, რომ აღზარდოს ისინი სამშობლოსადმი ერთგულების, სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან მეგობრობისა და ძმობის სულისკვეთებით.

უკანასკნელ ხანს დასავლეთის გარკვეული პოლიტიკური წრეები და ზოგიერთი პრესის საგენტო, თქვა გ. გეორგიუ-დეჟმა, რომლებიც მათთვის საყურელს სინამდვილედ ასაღებენ, სხვადასხვა სპეკულაციას მიმართავენ სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობათა ავტორებზე. ასეთ სპეკულაციათა ავტოროებს ვერ შეუგნიათ, რომ სოციალისტური ქვეყნები შეკავშირებული არიან საერთო მიზნებითა და სოციალისტური იდეოლოგიით. სოციალისტური ქვეყნები, თქვა გ. გეორგიუ-დეჟმა, მტკიცედ მიდიან წინ მარქსისტულ-ლენინური დროშით და გაბატონებულ თავიანთ ერთობას.

შემდეგ გ. გეორგიუ-დეჟმა თქვა, რომ რუმინეთში, ისევე როგორც მთელ მაოლლოში, კარგად არის ცნობილი საბჭოთა კავშირის განსაკუთრებული როლი მშვიდობის შენარჩუნებისათვის, იმპერიალისტური წრეების აგრესიული მოქმედების ალაგმვისათვის ბრძოლაში. ეთხოვთ, თქვა დასასრულ რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, სამშობლოში რომ დაბრუნდებით, გადასცეთ საბჭოთა ხალხს, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს, რომ რუმინელი ხალხი, ჩვენი პარტია და ჩვენი მთავრობა ამურ გრძნობებს უცხადებენ მათ და ახალ წარმატებებს უსურვებენ კომუნიზმის მშენებლობაში.

ნ. ვ. პოდგორნისა და გეორგიუ-დეჟის გამოსვლების დროს არაერთხელ გაისმა მქუხარე ტაში რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის პატივსაცემად, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთობის პატივსაცემად.

## ეიმენის ამგეები

კაირო, 5 ივნისი. (საკდესი). იემენისა და არაბთა გაერთიანების რესპუბლიკის ჯარებმა გუშინ იემენის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარზე გზა გადაუჭრეს იარაღითა და საომარი მასალით დატვირთული ავტომანქანების კოლონას, რომელიც საუდის არაბეთიდან მდინოდა იემენის ერთ-ერთ რაიონში, სადაც მოქმედებენ რესპუბლიკური რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი მონარქისტები. ამ ოპერაციის დროს, როგორც კაიროს პრესა იუწყება, მოსპეს 8 ავტომანქანა და ხელთ იგდეს 5. საამხედრო ნაწილის წარმომადგენელმა სანაში განაცხადა: ის გარემოება, რომ გრძელდება იარაღისა და საომარი მასალის გადატანა საუდის არაბეთიდან იემენში, მოწმობს, რომ საუდის არაბეთის ხელისუფლები უხეშად არღვევენ თავიანთსავე დაპირებას იმის შესახებ, რომ შეწყვეტდნენ მონარქისტების — დამხობილი იმამ ელბადრის მომხრეთა მხარდაჭერას.

კაირო, 5 ივნისი. (საკდესი). გუშინ 160-ზე მეტი იემენელი გადავიდა საუდის არაბეთიდან იემენს, რათა თავი დააღწიონ საუდის არაბეთის ხელისუფალთა მხრივ დევნას, იუწყება მენის სააგენტო. ხელისუფლებმა სცადეს იარაღით ხელში გამოეყვანათ ისინი იემენის არაბთა რესპუბლიკის რესპუბლიკური წყობილების წინააღმდეგ.

## ბრძოლა არ სცხრება

ნიუ-იორკი, 5 ივნისი. (საკდესი). ამერიკელ ზანგებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მოიპოვონ ელემენტარული ადამიანური უფლებები. რასისტების სასტიკი რეპრესიების მიუხედავად, ზანგები ბრძოლას განაგრძობენ რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

საინფორმაციო სააგენტოები ყოველდღე იუწყებიან, რომ სხვადასხვა შტატში ეწყობა ზანგების ახალ-ახალი გამოსვლები. აი რამდენიმე ასეთი უკანასკნელი ცნობა:

**ჩრდილოეთ კაროლინის შტატი:** ქალაქ გრინსბოროში რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ქუჩები გაიარა 300-მდე ზანგმა. ზანგთა ხელმძღვანელებმა გრინსბოროს საქალაქო საბჭოს მოსთხოვეს განაზორციელოს მთელი რიგი დესეგრეგაციული ღონისძიებები. მათ აგრეთვე განაცხადეს, რომ საპროტესტო დემონსტრაციები არ შეწყდება, სანამ არ მიაღწევენ რეალურ შედეგებს.

**ვირჯინიას შტატი:** ქალაქ დენბერგის საქალაქო საბჭოს შემოერტყა 250 ზანგი და მოითხოვდა, რომ შეწყდეს დისკრიმინაციია სამუშაოზე დაქირაობის დროს.

**ტენესის შტატი:** ზანგი მოსახლეობის ხელმძღვანელებმა გამოაცხადეს, რომ გადაწყვეტილი აქვთ დაიწყონ კამპანია იმისათვის, რომ ქალაქ მემფის საარჩევნო უბნებში რეგისტრაციაში გაატარონ 10.000 ზანგი.

**მისისიპის შტატი:** ზანგთა მოძრაობის წარმომადგენლებმა მოსახლეობას მოუწოდეს დაიწყონ ახალი საპარტიზანო დემონსტრაციები რასიზმის წინააღმდეგ.

## ვიზიტი დამთავრდა

ვაშინგტონი, 5 ივნისი. (საკდესი). დამთავრდა ორი დღის მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯ. კენედისა ინდოეთის პრეზიდენტ სარვაპალი რადჰაკრიშნანთან, რომელიც აქ ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება.

თეთრი სახლის მიერ გამოქვეყნებულ ერთობლივ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ საუბრებს ინდოეთის პრეზიდენტისა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტსა და ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობის წევრებთან ჰქონდა „აზრთა მეგობრული გაზიარების ხასიათი, ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე".

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ მოლაპარაკებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინდოეთის უკეთესი ურთიერთგაგების მიღწევაში.

## ჯ. კენედის გამოსვლა კონგრესზე

ვაშინგტონი, 4 ივნისი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა საერთაშორისო კონგრესი სუსსათის საკითხებზე, რომელიც მოიწვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის საკითხთა ორგანიზაციამ. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობს 105 ქვეყნის 1.200 დელეგატი.

კონგრესის გახსნაზე სიტყვა წარმოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ, აგრეთვე ვაშინგტონში ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა ინდოეთის პრეზიდენტმა ს. რადჰაკრიშნანმა.

## გამოსავალს ეძებენ...

ნიუ-იორკი, 5 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი კენედი თეთრ სახლში შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთის 100 თვალსაჩინო ბიზნესმენს. პრესა იუწყება, რომ მთავრობა ცდილობდა უზრუნველეყო „ნებაყოფლობითი დათმობანი ზანგებისადმი, რომლებიც მოითხოვენ სეგრეგაციის გაუქმებას საზოგადოებრივ ადგილებში.

საქმოსნებთან ანალოგიური შეხვედრები წინათაც გამართა იუსტიციის მინისტრმა რ. კენედიმ. მაგრამ მოწოდებებმა, შესრულდეს რასობრივი სეგრეგაციაო, რაც მაშინდელ შეხვედრებზე ვთქვა, „ჯერჯერობით ვერ გაჭრა.

ეს შეხვედრა თეთრ სახლში ასახავს ამერიკის მთავრობის მისწრაფებას — როგორმე აიცილოს თავიდან ზანგი მოსახლეობის შეშფოთება გამოსვლები რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთში.

## ხუან გოში: ამერიკა ერევა შინაური საქმეებში

ჰავანა, 4 ივნისი. (საკდესი). დომინგოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხუან ბოშამ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის ლათინური ამერიკის ქვეკომისიის თავმჯდომარეს არმისტიდ სელდენს ბრალად დასდო დომინგოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ჩარევა.

როგორც პრესა ლატინას საგენტო აღნიშნავს, სელდენმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ რესპუბლიკის მთავრობა თითქოს არ იღებდეს ზომებს „კომუნისტური ძირგამომთხრელი საქმიანობის" წინააღმდეგ. ბოშმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელს „არა აქვს უფლება მიუთითოს პრეზიდენტს, თუ როგორ უნდა განაგოს ქვეყანა".

დომინგოს რესპუბლიკის პროგრესულ წრეებს სელდენის საქციელი მიაჩნიათ ვაშინგტონის ზეგავლენის მკაფიო მაგალითად, ზეგავლენის, რომლის მიზანია აიძულოს მთავრობა ჩაახშოს სახალხო ორგანიზაციები, რომლებიც იბრძვიან დომინგოს რესპუბლიკის საქმეებში ამერიკის ჩარევის წინააღმდეგ.

## ტელეგრაფი გვატყობინებს

□ **ლონდონი.** ბაღდადის სამხედრო ტრიბუნალმა ახალი განაჩენი გამოუტანა ირანის ექვს ოფიცერს, რომლებსაც ბრალად დასდეს „კომუნისტური პარტიის წევრობა და კომუნისტური საქმიანობა", იუწყება რეიტერის საგენტო. ყველა მათგანს მისჯილი აქვს სხვადასხვა ვადის კატორღა 2 წლიდან 15 წლამდე.

□ **ლონდონი.** აქ ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ევროპის ცენტრალურ ზონაში განლაგებული ნატოს გაერთიანებული სახმელეთო ჯარების სარდალი შაბადელი.

□ **დაახლოებით** 189 მილიონი ტონა საერთო ტონაჟის 18.000 გემმა გაიარა სუეცის არხში 1962 წელს. ეს სამი ათასით მეტი გემია, ვიდრე 1955 წელს — სუეცის არხის ნაციონალიზაციის წინ.

□ **7** ივნისს თურქეთში დაიწყება სასამართლო პროცესი იმათი საქმის გამო, ვისაც ბრალად ედება მოეხდინა სახელმწიფო გადატრიალება 20 მაისს ღამით. სასამართლოს წინაშე წარსდგება 103 კაცი.

□ **ეკვადორის** ხელისუფლებამ დააკრძალა ამერიკის ორი თვეშსაბეჭერი გემი, რომლებიც ამას წინთ დაეკავა ს

# ტექსელი ქართველთა გმირობის ეპოპეაა

ჰოლანდიიდან ამ დღეებში დაბრუნდა ომის საბჭოთა ვეტერანების დელეგაცია, რომელიც ეწვია კუნძულ ტექსელს, სადაც ფაშისტებთან უთანასწორო ბრძოლაში დაეცა თავისუფლებისა და სამშობლოსათვის 500-ზე მეტი ქართველი ვაჟკაცი 1945 წლის აპრილში, ქართული ბატალიონის აჯანყების დროს.

18 წლის შემდეგ ჰოლანდიას ისევ ეწვია ტექსელის აჯანყების მონაწილე ქართველი ინჟინერი გიორგი ჯიმშელეიშვილი. ცხრა მთასა და ზღვას იქით წაიღო ქართველმა კაცმა საქართველოს მიწა, რომ ხუთასი ქართველის საფლავზე მიმოებნია რუმბრანდტის ქვეყანაში.

ტულიპების ლამაზი მხარე სტუმართმოყვარულად დახვდა დიდი საბჭოთა ქვეყნის წარგზავნილებს — საბჭოთა კავშირის გმირს მფრინავ ქალს მ. ჩეჩნევას და საბჭოთა ინჟინერს გ. ჯიმშელეიშვილს.

ქუთაისში, მის მშობლიურ ქალაქში შევხვდით ჰოლანდიიდან დაბრუნების შემდეგ გ. ჯიმშელეიშვილს.

... ცის ულამაზესმა საბჭოთა ლაინერმა ჩაიყვანა ჰოლანდიის ქალაქ ამსტერდამში ჩვენი დელეგაცია. საბჭოთა ქვეყნის წარგზავნილებს აეროდრომზე დახვდნენ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები — ჰოლანდიაში წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეები, ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის, ჰოლანდიის ყველა ჟურნალის პრესის წარმომადგენლები. საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები...

საბჭოთა დელეგაციის ჩასვლა ჰოლანდიაში გახმაურდა როგორც მნიშვნელოვანი მოვლენა ჰოლანდიის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მეორე დღეს ჰოლანდიის პრესა აჭრელებული იყო ცნობებით საბჭოთა დელეგაციის ჩამოსვლის შესახებ.

ჩვენ წინ დიეს ჰოლანდიური ჟურნალ-გაზეთები...

„დე ვარჰეიდი" — ნიდერლანდის „პრავდა", კომუნისტური პარტიის ორგანო, „ალხემეენ ჰანდელს ბლად" — ლიბერალურად განწყობილი მსხვილი ბურჟუაზიის უძველესი გაზეთი (გამოდის 1828 წლიდან) და, ასე განსინჯეთ, დღეს მილიტარიზმის, კოლონიალიზმის აპოლოგეტი, ხოლო ომის დროს წინააღმდეგობის მოძრაობის იატაკქვეშა გაზეთი „ტროუც", რომელიც ხშირად ოპოზიციაში უდგას მთავრობას, ფართოდ გამოეხმაურა საბჭოთა დელეგაციის ჩასვლას ჰოლანდიაში. ჰოლანდია კათოლიკური პრესის ბაღონობის ქვეყანაა. ვატიკანის რუპორი ჰოლანდიური „ხელდერსე კურანტი" ბევრ ადგილს უთმობდა ტექსელზე დაღუპულ ქართველ გმირთა ხსოვნის აღსანიშნავად ჰოლანდიაში ჩასულ საბჭოთა დელეგაციას.

— ჰოლანდიის რეაქციული წრეები თავშეკავებით შეგვხვდნენ საბჭოთა სტუმრებს. ერთხელ სიტყვაში ვთქვი,— შენიშნავს გ. ჯიმშელეიშვილი, — ჰოლანდია ლამაზი ტულიპების ქვეყანაა, არ მინდა ლამაზ ტულიპების ქვეყანაა, არ მინდა ლამაზ ყვავილებს შორის ეკალ-ბარდი დავინახო-მეთქი.

რეაქციული პრესის წარმომადგენელმა იმეშამსვე თავი წამოყო:

—განმარტოს ბატონმა ჯიმშელეიშვილმა, რას გულისხმობს ეკალ-ბარდად.

—პროფაშისტური და მილიტარისტული ელემენტების აღორძინებას. გზა გადავუკეტოთ ომს! — იყო პასუხი.

ყვითელი პრესის წარმომადგენელს უნდოდა ეკვირა, ეს კომუნისტური პროპაგანდაო, მაგრამ ხალხის მჭუხარე ტაშმა ჩაახშო მისი ხმა. — ჰოლანდიელებს უნდათ მშვიდობა, ჰოლანდიელებს უნდათ მეგობრობა საბჭოთა ხალხთან, — ამბობს ჯიმშელეიშვილი.

ტექსელზე 500 ქართველის ძმათა სასაფლაოზე გ. ჯიმშელეიშვილს და მ. ჩეჩნევას თან გაჰყვნენ კომუნისტური პარტიის, პარლამენტის, ჰააგის, ამსტერდამის, ჰარლემის მცხოვრებთა წარმომადგენლები. იქ იყვნენ აგრეთვე საბჭოთა საელჩოს. საკდესის მუშაკები.

კუნძულზე მოეწყო სამგლოვიარო მსვლელობა ქართველ ჰეროძოლთა სასაფლაოზე. ტექსელის მოსახლეობა უფრთხილდება საბჭოთა მეომრების აკლდამას, საძმო სასაფლაო გაწყობილია მარმარილოთი, მას ამშვენებს სსრ კავშირის გერბი და დროშა.

საბჭოთა დელეგაციამ გვირგვინებით შეამკო აგრეთვე ჰოლანდიელ ჯარისკაცთა საძმო სასაფლაო ტექსელზე.

კუნძულ ტექსელის ბურგომისტრმა მოუწყო მიღება საბჭოთა დელეგაციას.

კუნძულის მთავარ ქალაქში დენბურგში გ. ჯიმშელეიშვილმა საბჭოთა მთავრობის საჩუქრები გადასცა მეზღვაურ იოან ბაკერს, რომელმაც კატარღით „იოან ხოდსონი" ქართველ მეომართა დელეგაცია ლონდონში წაიყვანა აჯანყებული ქართული ბატალიონისათვის დახმარების სათხოვნელად. „ბრიტანეთის ლომს" არ ეცალა აჯანყებული ქართველებისათვის. ჭაღარა ჰოლანდიელ პატრიოტ ქალს კორნელია ბოონს წაკითხული ჰქონდა კუნძულის კომენდანტის მრისხანე ბრძანება: „თუ ფერმის ტერიტორიაზე შემჩნეული იქნება საბჭოთა არმიელი, რომლის შესახებ არ განაცხადა ფერმის პატრონმა ან მისი ოჯახის რომელიმე წევრმა ან მოსამსახურემ, სამხედრო საველი სასამართლოს განკარგულებით დახვრეტილ იქნება ფერმის ყველა მცხოვრები, ხოლო ფერმას დაეწვავთ. ეს არის უკანასკნელი გაფრთხილება".

კორნელია ბოონი მაინც დაეხმარა მეომრებს, უელიდა დაჭრილთ, მალავდა მათ. საბჭოთა ხალხი არ ივიწყებს მეგობრებს. გ. ჯიმშელეიშვილმა მთავრობის ჯილდო გადასცა მას.

საბჭოთა დელეგაცია შეხვდა ანი ავერინკს — ჰოლანდიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს, რომელიც აკავშირებდა აჯანყებულ ქართველთა ხელმძღვანელებს შ. ლოლაძეს, ნ. გონგლაძეს, ე. არტემიძეს, ს. გუჯაბიძეს, შ. ნოზაძეს, ი. ჯანჯღავას და სხვებს ჰოლანდიის კომუნისტებთან.

არც ჰოლანდიელები ივიწყებენ ქართველ მეგობრებს.

ანი ავერინკმა ჯიმშელეიშვილს სთხოვა გადაეცა თბილისში წიგნის „ქართველი პარტიზანები ჰოლანდიაში" ავტორისათვის მ. ქოჩიაშვილისათვის და ტექსელის აჯანყების ერთ-ერთი მეთაურისათვის — ევგ. არტემიძისათვის სარჩევები.

გ. ჯიმშელეიშვილს აჩუქეს ჰოლანდიაში ვან დერ ფლისის გახმაურებული წიგნი „ტექსელის ტრაგედია", რომელშიც ჰოლანდიელი მწერალი მოგვითხრობს ქართული ბატალიონის გმირულ ბრძოლაზე ფაშისტებთან. წიგნი ხუთჯერ გამოიცა ჰოლანდიაში. იგი უხვად არის ილუსტრირებული. ჯიმშელეიშვილი სიამოვნებით იგონებს შეხვედრას ცნობილ ჰოლანდიელ მხატვარ ჰორსტთან, რომელმაც მას უძღვნა თავისი ანტიფაშისტური ნახატების სერიის „ბუხენვალდის" რეპროდუქციები და აღუთქვა, რომ შექმნის ნახატების სერიას ტექსელის აჯანყებაზე.

გამოჩენილმა სკულპტორმა ფრის სიგერმა უთხრა თურმე ქართველ ინჟინერს, რომ აპირებს შექმნას სკულპტურები ტექსელზე ქართველ ჯარისკაცთა გმირობის შესახებ.

სიამოვნებით იგონებს გ. ჯიმშელეიშვილი ჰოლანდიის კავშირ-ჰოლანდიის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტთან ცნობილ მწერალ ვან დე ფრისთან შეხვედრას.

ჰოლანდიის მთავრობამ საბჭოთა დელეგაციას დართო მთელ სახელმწიფოში თავისუფალი მოძრაობის უფლება. საბჭოთა ქვეყნის წარგზავნილებმა გვირგვინებით შეამკეს 101 საბჭოთა ჯარისკაცის სასაფლაო ქ. ამესფორდში. ამსტერდამში, ჰააგაში, ჰარლემში გულთბილი შეხვედრები მოუწყეს მცხოვრებლებმა საბჭოთა ადამიანებს. ქ. ოლანდამში დაათვალიერეს სამხედრო მუზეუმი, სადაც ექსპონირებულია ტექსელის აჯანყების ამსახველი მასალებიც. საბჭოთა დელეგაცია ეწვია აგრეთვე რემბრანდტის მუზეუმს. ყველა მიღება მთავრდებოდა სადღეგრძელით და სხვა ცერემონიალით.

— მოლოდინს გადააჭარბა ჰოლანდიელთა სტუმართმოყვარეობამ, — ამბობს გ. ჯიმშელეიშვილი. — ქ. ამსტერდამში შეეხვედით ახალგაზრდობას, სტუდენტებს. მოეწყო პრეს-კონფერენცია ჰოლანდიელი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის ჰოლანდიის პარლამენტის პრესკლუბში.

თავისი მისია წარმატებით შეასრულა ომის საბჭოთა ვეტერანების დელეგაციამ ჰოლანდიაში.

კუნძულ ტექსელზე, მარმარილოს საძმო სასაფლაოზე მშვიდად სძინავთ ქართველ ვაჟკაცებს, ვისმა გმირობამაც განაცვიფრა სახელმწიფოები და ხალხები.

ტექსელი მორწყულია ქართველთა სისხლით. ჩრდილოეთის ზღვის ცივი ტალღები ლოკავენ კუნძულის ნაპირებს... შემატყობინეს ოლანდიელ ინჟინერ-ტექნიკოსებმა, ... ... ...